1-ს აგვისტოს. № 15. 1885 წელსა.

მწყემსი

ორ-კვირეული გამოცემა. ოფიციალური ნაწილი.

წესდება

კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისა უმაღლესად დამტკიცებულ არს ფებერვლის მეათე დღეს და მარტის მეცხრე დღეს 1885 წელსა.

(დასასრული).

§ 19. ამ საზოგადოების ყველა წევრები, რომელთაც სახეში აქვსთ, რომ საზოგადოების საქმე ხეირიანად წავიდეს, საზოგადოების რჩევას უდგენენ თავიანთ მოსაზრებას და სურვილს. რჩევა იხილავს ამ წევრებისაგან წარმოდგენილ აზრებს და, შემდეგ მათი განხილვისა, ან უარს ჰყოფს მათ და ან მიიღებს და წლიურს ანგარიშში მოიხსენებს, თუ რა მსვლელობა მიეცა თითოეული წევრისაგან შემოტანილ წინადადებას.

§ 20. ამ საზოგადოებას აქვს მინიჭებული უფლება, რომლის ძალით უფასოდ აგზავნის ყოველივე ქაღალდებს და წერილებს, აგრეთვე იმ გასაგზავნ ნივთებზე, რომელნიც იგზავნებიან ამ საზოგადოებისაგან, ან ამ საზოგადოების სახელით-ბაზე იგზავნებიან საიდანმე, ფოსტის მმართველობა არ იღებს გასაგზავნ ფულს, თუმც ეს ნივთები წონით არ აღემატებიან ერთ ფუთს.

თ ა ვ ი III.

საზოგადოების საშუალებანი.

§ 21. საზოგადოების საშუალებათა შეადგენენ: 1) საზოგადოების წევრთა შემოწირულებანი; 2) კრუჟკებით შეკრებილი ფულები; 3) მთავრობის შემწეობა; 4) იმპერატორის კაპიტელის და სამეფო ორდენებისაგან ყოველ წლიური განსაზღრული შემოსავალი ფული და 5) შემთხვევითი შემოსავალი და შეწირულებანი.

§ 22. საზოგადოების საშუალებათა გადიდებისათვის რჩევას ეძლევა უფლება მიიქცეს ყველა მართლ მადიდებელ რუსებისადმი თხოვნით, რათა მათ თავიანთი შეძლებისა და გვარად შემწეობა აღმოუჩინონ თავიანთი შეწირულებით ამ საზოგადოებისაგან ნათავებ საქმეს.

§ 23. წევრებისაგან შემოტანილი ფულები და შეწირულებანი, როგორც ფულით, აგრეთვე ნივთით, რომელნიც მიიღებიან საზოგადოების რჩევის სახელობაზე, მაშინვე ჩაიწერებიან შესავლის წიგნებში. ყოველივე ცნობები ამისთანა შემოწირულებაზე და საწევრო ფულების შემოტანაზე მოხსენებულ იქნებიან ამ საზოგადოების წლიურ ანგარიშში.

§ 24. ხარჯზე გადარჩენილი ფულები საზოგადოებისაგან შეიტანებიან პირველ მოთხოვნამდე რომელიმე სახელმწიფო კრედიტულ დაწესებულებაში, ანუ დაიცვლებიან სახელმწიფო ანუ მთავრობისაგან უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებში. ფულების შენახვის და დახარჯვის წესს იხილავს რჩევა.

§ 25. რჩევა მოქმედებს თავის საშუალებათა შესაფერად და საშუალების მიხედვით ყოველი წლის დამდეგს ადგენს დაწვრილებითი შესავლის და გასავლის ხარჯთა აღრიცხვას (СМѢТА). ამ ხარჯთა აღრიცხვის გარეშე ყოველივე განსაკუთრებითი და მოულოდნელი ხარჯები უსათუოდ მოხდებიან რჩევის დადგენილობათა მებრ.

თ ა ვ ი IV.

§ 26. საზოგადოების მოქმედებათა წრეში შედიან: ა) აღშენება და შენახვა ეკკლესიებისა და ამ ეკკლესიებთან სამღვდელოებისთვის სადგომი ბინების გამართვა; ბ) გამართვა საეკკლესიო-სამრევლო სკოლებისა მთიულების შვილების გასანათლებლად და ამ სკოლებისთვის შემწეობა; გ) თარგმნა ადგილობით ენებზე საღმრთო წერილის, ღვთის მსახურების, სასწავლო და სხვა სასარგებლო საკითხავი წიგნებისა და როგორც ამ თარგმანების, აგრეთვე საღმრთო-საეკკლესიო წიგნების ქართულ ენაზე დაბეჭდვა და დ) აგრეთვე საზოგადოება ეწევა ეპარქიის მთავრობას მთიულ სამღვდელოების ნივთიერი მდგო-

მარეობის გასაუმჯობესებელ და ამ სამდვდელოების გონებით განვითარების საქმეში.

ა. აღშენება და შენახვა ეკკლესიებისა.

§ 27. აღშენება და შეკეთება ეკკლესიებისა მოხდებიან ამ საზოგადოებისაგან სასულიერო მთავრობის შეტყობინებით, ანუ იმ ცნობათა მიხედვით, რომელნიც მიღებულ იქმნებიან ამ საზოგადოებისაგან მთიულების სამრევლო ეკკლესიების შენობათა მდგომარეობაზე.

შენიშვნა. იმ პირებს, რომელნიც იგზავნებიან შენობების ანუ მუშაობის დასახედავად, გზის ხარჯი ანუ სხვა შემწეობა ეძლევათ ამ საზოგადოების საშუალებათაგან რჩევის შეხედვისა მებრ.

§ 28. ეკკლესიების და სხვათა შენობათა აღშენება, რომელსაც თვით ეს საზოგადოება ითავებს, გაიცემიან ნარდათ ანუ მოხდებიან შინაურულად, იმის მიხედვით, თუ რომელ ფონისძიებას უფრო სასარგებლოდ დაინახავს რჩევა.

§ 29. ვაჭრობა მოხდება იმ ადგილებში, რომლებიც დაინიშნებიან ამ საზოგადოების თავს-მჯდომარის შეხედულობისა მებრ.

§ 30. ვაჭრობაზე, თუ აგეთი ვაჭრობა არ მოხდა თვით საზოგადოების რჩევაში, ესწრება პირი, რომელსაც ამ საგნისთვის საზოგადოების თავს-მჯდომარე ნიშნავს.

§ 31. იმ პირობათა და ვალდებულებათა უზრუნველ-ყოფისათვის, რომლებსაც მოიჯარადენი იღებენ თავიანთ თავზე, აგრეთვე ამ პირობათა შესრულების და მოსპობის შესახებ იხმარებიან ის წესები, რომლებიც სახელმწიფო ვაჭრობისთვის დადგენილ არიან სამოქალაქო კანონებში. ამასთანავე საზოგადოების რჩევას აქვს უფლება მისცეს მოიჯარადრეთა ცოტაოდენი შედავთი იმ შემთხვევაში, როცა ამას რჩევა საჭიროთ დაინახავს.

§ 32. შემოწმება მუშაობათა, რომელნიც ნარდად გაცემულ იყო, ანუ შინაურულად სწარმოებდა, მოხდება ხოლმე ამ საზოგადოების თავს-მჯდომარის დანიშნული პირებისაგან.

§ 33. ანგარიშები ეკკლესიების აღშენებაზე, განახლებაზე ანუ ეკკლესიებთან სამდვდელოების ბინების შესახებ განიხილებიან საზოგადოების რჩევისაგან.

ბ. სკოლების დაარსება. შემწეობა სკოლების დასაარსებლად და შესანახავად.

§ 34. ამ საზოგადოებას აქვს თავის გამგეობაში საეკკლესიო-სამრევლო სკოლები მთიულ მცხოვრებთ შვილების გასანათლებლად, ამ სკოლების შესახებ საზოგადოება მოქმედებს უმაღლესად დამტკიცებულის 13 ივნისიდგან 1884 წ., საეკკლესიო-სამრევლო სკოლების წესდებათა მიხედვით. იმ საეკკლესიო-სამრევლო სკოლების შესანახავად, რომლებიც იმყოფებიან ამ საზოგადოების გამგეობაში, იხარჯება ფული ამ საზოგადოების საშუალებათა შესაფერად.

გ. საღმრთო წერილის, ღვთის მსახურების და სხვა წიგნების თარგმნა.

§ 35. საზოგადოების რჩევა ზრუნავს საღმრთო-წერილის და აგრეთვე ღვთის მსახურების და სხვა სასარგებლო საკითხავი წიგნების გადათარგმნაზე მთიულების და ადგილობით ენებზე.

36. ამ ნათარგმნ წიგნებს ბეჭდავს და სცემს ეს საზოგადოება თავის ხარჯით.

დ. შემწეობა ეპარქიის მთავრობისადმი მთიულების სამდვდელოების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

§ 37. ეპარქიის მთავრობას საზოგადოება ეწევა მატერიალურად სასულიერო უწყების ანუ თვით საზოგადოების რჩევის წინადადებით.

§ 38. ამისთანა შემწეობას შეადგენენ: ა) მთიულების ეკკლესიებისადმი საეკკლესიო შესამოსლის და სხვა საჭირო ავეჯულობის მიწოდება; ბ) დაარსება ახალ კრებულთა და სარჩოს მიცემა საზოგადოდ უველა მთიულების სამდვდელოებისათვის; გ) ფულების დანიშვნა სემინარიის კურსში დამატებითი საგნებისათვის, საჭიროებისა მებრ, იმ მიზნით, რომ ასწავლონ და მოამზადონ მთიულების შვილები ეკკლესიის მსახურებისათვის.

§ 39. საზოგადოების მზრუნველობა შესახებ საზოგადოებისაგან დაარსებულის ანუ მის გამგეობაში მყოფი ეკკლესიების კრებულთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მდგომარეობს მასში, რომ საზოგადოება თავის ფულით ეწევა როგორც სამდვდელო და საეკკლესიო მოსამსახურეთა, აგრეთვე მათ ქვრივებს და ობლებს.

§ 40. ფულით შემწეობის რაოდენობა, გარდა განსაზღვრული ჯამაგირისა, რომელიც ეძ-

ლევათ სასულიერო ბერთ, დამოკიდებულია ამ სასულიერო ბერთ სამსახურზე და საზოგადოების შეხედვაზე.

§ 41. ზრუნავს რა ეკლესიების კრებულთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, საზოგადოება არ შედის ეკლესიების შინაურ საქმეების გამგეობაში. ეს უკანასკნელი მთლად დამოკიდებულია ეპარქიის უფროსზე, აგრეთვე ამ უკანასკნელის საქმეა სამდვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა თანამდებობაზე განწესება.

თავი V.

საზოგადოების ანგარიში.

§ 42. საზოგადოების რჩევა ყოველ წლობით ადგენს ანგარიშს, რომელშიაც უნდა იყოს მოხსენებული ყოველივე მოქმედება საზოგადოებისა, ე. ი. ანგარიშში უნდა იყოს მოხსენებული: ა) ახლად განახლებული, შეკეთებული და ახლად აშენებული ეკლესიების რიცხვი; ბ) მთიულების სამრევლოებში ახლად დაარსებულ კრებულთა რიცხვი, რომელთაც (კრებულთ) ეძლევათ შემწეობა საზოგადოებისაგან; გ) რიცხვი და მდგომარეობა საეკლესიო-სამრევლო სკოლებისა, რომლებიც იმყოფებიან საზოგადოების გამგეობის ქვეშ; დ) გადათარგმნა და გამოცემა სამდრთო და სხვა სასულიერო წიგნთა და ე) შემოსავალი და გასავალი მმართველობის ყოველივე ნაწილისა.

§ 43. ანგარიშები წარედგინებიან მის იმპერატორებითი დიდებულებას დიდ მთავრინა ოლდა თეოდორეს ასულს,—საზოგადოების მფარველს და უწმიდეს სინოდს.

§ 44. გარდა ამისა, ამ საზოგადოების წლიური ანგარიშები ვრცელდება ხალხში.

§ 45. ყოველ ამ საზოგადოების წევრს შეუძლია უფასოდ მიიღოს საზოგადოების ანგარიშები.

ბორის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან.

ჩისაც სურს ბორის სასულიერო სასწავლებელში ბავშის შემოყვანა, თხოვნა უნდა წარმოადგინოს სასწავლებლის სამმართველოს სახელზედ აგვისტოს ოცდა ხუთამდის. მიდების მოსურნე ყმაწვილები, რომელთათვისაც საჭირო იქნება, გამოიცდებიან აგვისტოს ოცდა მეშვიდე დღეს; ყმაწვილები, რომლებსაც არ ექნებათ მეტრიკის მოწმობა წლოვანებაზე და აგრეთვე ყვავილის ხდისა ან აცრის მოწმობა, სასწავლებელში არ მიიღებიან.

ბორის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი
დავით დათოშვილი.

მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლების წესდებულება.

§ 65. ჩასწავლებელთ ვალად სძევთ თვალყური ადევნონ, გაკვეთილების დროს, წესსა და მყუდროებას კლასში, რისთანავე მშვიდობიანობის დამარღვეველ მოსწავლეთ ისინი ან თვითონ სჯიან, ან მოახსენებენ მათზე ზედამხედველს.

§ 66. ჩასწავლებლები უდგენენ ზედამხედველს ყოველი თვის უწყებას მოსწავლეთ წარმატებებზე და ყოფა-ქცევაზე; სასწავლო წლის გათავების წინ ესრეთ უწყებათ უნდგენენ ზედამხედველს მთელი წლისას.

§ 67. ჩასწავლებელს, თუ ეინიცობაა, არ შეუძლია მას კლასში მისვლა, ატყობინებს ზედამხედველს თავის დროზე თავის მიუსვლელობის მიზეზს, რათა ზედამხედველს შეეძლოს ზომების მიღება მოსწავლეებისთვის საქმეების დასანიშნავად.

თავი IX—საპატიო მცველზე სამეურნეო ნაწილის შესახებ.

§ 68. ნაპატიო მცველი სამეურნეო ნაწილის შესახებ ირჩევა სასწავლებლის სამმართველოს მიერ და მტკიცდება ამ წოდებაში ეპარქიის არქიერისაგან.

§ 69. საპატიო მცველი ეხმარება სასწავლებელის რაც შეიძლება უმჯობესად შენახვას სამეურნეო ნაწილზე ფულის და სხვა თავიანთის ერთგულებისა მებრ, ერთ დროული ან მუდმივი შეწირულებაებით.

§ 70. საპატიო მცველს აქვს უფლება დაათვალიეროს სასწავლებელი და თვალ-ყური უგდოს მოსწავლეთა შენახვას, რომელნიც საზოგადო ბინებში (общежитія) სცხოვრობენ.

§ 71. საპატიო მცველი იწვევა სამმართველოს სხდომებზე სამეურნეო საქმეების შესახებ ხმის უფლებით.

თავი X.—მოსწავლეების მიღებაზე სასწავლებლებში.

§ 72. ბოვშების მიღება ნება-დართულია სასწავლებელის როგორც პირველ კლასში, აგრეთვე შემდეგებშიაც.

§ 73. პირველ კლასში შედიან 10—12 წლის ბოვშები, რომელთაც აქვსთ ნასწავლი კითხვა და წერა რუსულად და კითხვა სლავიანურად და რომელთაც იციან საზოგადო სახმარი ლოცვები, სიმბოლო სარწმუნოებისა და მცნებანი, არითმეტიკიდგან ორი პირველი მოქმედება, გამრავლების ტაბლიცით თურთ.

§ 74. შემდეგ კლასებში იღებიან მქონებელნი კლასის შესაფერ ცოდნათა და წლოვანებისა.

§ 75. მისაღები ეგზემენები სწარმოებენ სასწავლო წლის დასაწყისს.

§ 76. თხოვნები მიღებაზე შედიან ზედამხედველის სახელზე; თხოვნებთან დგინდება სამეტრიკო მოწმობანი, მის უქონლობის დროს, გამოწერილობა სამეტრიკო წიგნებიდგან.

თავი XI.—სწავლებაზე სასწავლებლებში.

§ 77. სასწავლებლებში ასწავლიან შემდეგ საგნებს:

1) ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო ისტორიას.

2) ვრცელს საქრისტიანო კატეხიზმოს.

3) ღვთის-მსახურების განმარტებას, საეკკლესიო წეს-დებულებით თურთ.

4) ენებს: რუსულს და საეკკლესიო სლავიანურს.

5) ლათინურს.

6) ბერძნულს.

7) გეოგრაფიას.

8) არითმეტიკას.

9) წერას.

10) საეკკლესიო გალობას.

§ 78. სასწავლებლის თითოეულ კლასში უნდა იყოს არა უმეტეს 40 მოსწავლისა. მომეტებული რიცხვის დროს იხსნება კლასის პარალელური განყოფილება ოლქის სამღვდელოებისგან გამოღებული საშუალებით.

§ 79: გაკვეთილების რიცხვი თითოეულ სასწავლო დღეს დადებულია 4, ერთის დღის გამორიცხვით კვირაში, როდესაც 3 გაკვეთილია. თითოეული გაკვეთილი უნდა გაგრძელდეს უსათუოდ ერთს საათს.

შენიშვნა. გაკვეთილთ შორის დადებულია დასასვენებლად მეოთხედი საათი.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსაგან.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაო საცნობლად, რომ ვისაც სურს ამ სასწავლებელში ყმაწვილების შემოყვანა თხოვნები ბავშების მიღებაზე მშობელთა, აპეკუნთა, მზრუნველთა ანუ მონათესავეთაგან უნდა შემოტანილ იქმნენ უთუოდ ოცდა ორ აგვისტომდის. თხოვნას უნდა მოჰყვეს თან ორი მოწმობა: ა) მეტრიკისა წლოვანებაზე და ბ) ყვავილის აცრაზე. ვისაც სინოდალნის კანტორიდამ მიღებული მეტრიკის მოწმობა არ ექნება, მას შეუძლია მღვდლისაგან მიღებული ფორმისა მებრ მეტრიჩესკის გამოწერილობა წარმოადგინოს, მაგრამ უთუოდ სამ აბაზიანი ღერბის მარკის დაკვრით.

ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნიკოლოზ ტატიევი.

1-ს აგვისტოს. წელიწადი მესამე. 1885 წელს.

მწყემსი

№ 15.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ჩვენი ეკკლესიების შინაგანი და გარეგანი მორთულობა.

(დასასრული).

Იყო დრო, როცა ქართველი ხალხი ეკკლესიების გასამშვენებლად არაფერს იზოგავდა. მხურვალე გულით ეკიდებოდა საეკკლესიო საქმეს; მაგრამ დღეს ქართველის გული ძლიერ გაგრილებულია ეკკლესიურ საქმეებზე. მრავალთ ამის მიზეზათ მოჰყავსთ ქართველი ხალხის სიღარიბე, მაგრამ ეს მიზეზი ნამდვილი მიზეზი არ არის.. ჩვენში, სადაც მარტო ღარიბი გლეხ-კაცობა სცხოვრებს, უკეთესი ეკკლესიები აუშენებიათ. სადაც თავად-აზნაურობა მომეტებული ნაწილია, თუმცა მათ გლეხებზე ბევრი შეუძლიათ, მაგრამ ეკკლესიები ამისთანა ადგილებში ან სულ არა აქვსთ და, თუ აქვსთ, უფრო მცირე გლეხების ეკკლესიებზე. ქართველის გრძნობას დღეს არაფრად შეაწუხებს გახრეკილი ეკკლესია, რომელ შიაც ორი და სამი ხატის მეტი არაფერია. Ის გულგრილად უყურებს თავის მღვდელს დაძონძილ შესამოსელში და, თუ მღვდელს ეკკლესია კარგად მორთული არა აქვს, ან თვითონაც კარგად შემოსილი არ არის, მას აქ მღვდელი გამოჰყავს დამნაშავედ და არა თავის-თავი და მისი გულ-გრილობა.

Ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, მღვდელიც დამნაშავე იქნება, თუ მრევლს არ აგონებს ეკკლესიის გამშვენებას და არ ცდილობს, რომ ეკკლესია იყოს კარგად მორთული და თვითონაც მას ჰქონდეს სამღვდელო შესამოსელნი რიგიანნი და ჯეროვანნი. მაგრამ უმეტესად მღვდელზე დამნაშავეა მრევლი, რომელიც ხშირად არ აქცევს თავის ეკკლესიის საქმეს ყურადღებას.

Წარმოიდგინეთ მღვდელიც და მრევლიც, რომელთაც გულით და სულით სურსთ თავის ეკკლესიის მორთვა და განშვენება. Ამისთანა მღვდლებიც და მრევლნიც ჯერეთ კიდე, მადლობა Ღმერთსა, ბევრნი არიან ჩვენს საქართველოში. ხან-დის-ხან კერძო პირები განიზრახვენ მღვდლის შთაგონებით კანკელის დადგმას ანუ ხატების სყიდვას ეკკლესიისათვის. მაგრამ სად იყიდოს და როგორ იყიდოს ესეები? Აი კითხვები რომლებზედაც პასუხის გამცემი არ მოიპოვება...

საეკკლესიო ნივთების ყიდვა და მოპოვება ჩვენში ნამეტნავად გაძნელებული არის. Არ არსებობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში არც ერთი ისეთი საზოგადოება და არც რაიმე დაწესებულება, რომლის დახმარებით კაცს შეეძლოს საეკკლესიო ნივთების მოპოება რიგიან ფასად და ყოველ დროს. ვინ ვაჭრობს ხატებით ჩვენში? ურიები, თათრები, ფრანგები. სომხები და სხვას კიდევ ვინ მოსთვლის. ამ უკანასკნელ დროს, მართალია, გამოიცა კანონი, რომლის ძალითაც აკრძალული აქვსთ ხატებით და ჯვრებით ვაჭრობა არა ქრისტიანეთა, მაგრამ ურიები ისე ოსტატურად ახერხებენ ამაებით ვაჭრობას, რომ კანონით ვერაფერს ვერ უზამ...

ჩვენის აზრით, ხატებით და სხვა საეკკლესიო ნივთებით ვაჭრობა სულ აკრძალული უნდა იყოს ყველა მედუქნე ვაჭრებისთვის და აი რატომ: მიდიხართ მაღაზიაში და ქალების ტურნიურებთან, ფეხ-საცმელებთან, კალოშებთა და სხვა ბავშების სათამაშოებთან ხედავთ ხატებსაც. მევაჭრე ეძახის მუშტრებს: ჰო, ჰო, ჰო, ჰო, რა ხატი! რა ხატი! ხატი! რა მშვენიერი ხატი! და სხვა სიტყვებს რამდენს გაიგონებთ ზოგიერთი უსინიდისო მოვაჭრეებისაგან... რომელი ქრისტიანე კაცის გრძნობა არ უნდა შესწუხდეს ამისთანა სურათების ხილვის დროს. კანონით დაწესებულია, რომ წმინდა სანთელი ისყიდებოდეს ცალკე და არავის არ აძლევენ ნებას სხვა სავაჭრო ნივთებთან ერთად ჰქონდესთ გასასყიდლად წმინდა სანთელი. თუ კი სანთლის შესახებ ამისთანა კანონები არსებობს, რატომ ეძლევათ ნება მოვაჭრეებს ხატები და საეკკლესიო ნივთები ჰქონდესთ სხვა სავაჭრო ნივთებთან ერთად დაყრილი? განა ცოტანი არიან ეხლანდელ დროში ზოგიერთი ქრისტიანენიც, რომელნიც ურუულის გრძნობით ექცევიან ხატებს და სხვა საეკკლესიო ნივთებს? დრო არის, რომ ამ საგანს ყურადღება მიაქციოს სასულიერო მმართებლობამ. საჭიროა, ვალად დაედგინოს ყველა მოვაჭრეთა, რომ საეკკლესიო ნივთები და ხატები ჰქონდეთ დაწყობილი ცალკე ოთახში და არა ერთად სხვა უბრალო ნივთებთან.

გარდა იმისა, რომ ქრისტიანე კაცის გრძნობა ვერ შერიგებია ამისთანა უკანონოდ და შეუფერებლად ხატებით ვაჭრობას, მეორეს მხრით ვაჭრობა ამ ნივთთა სწარმოებს ულვთოდ, ნამეტან ძვირად. როგორც ამტკიცებენ, რუსეთში ვეცხლის ბარძიმ-ფეშხუმი და სხვა ეკკლესიის ანკეულება ვეცხლეული ღირს მისხალი ექვსი შაურიდამ ორ აბაზამდის და ჩვენებურ ვაჭრებისაგან ვერასოდეს ვერ იყიდი მისხალს სამ აბაზ ნაკლებ. პილეთ ეხლა სხვა მხატვრობა: ბაირახები, გარდამოხსნები და სხვა ამისთანები. ჩვენში მოვაჭრეები თითქმის მანეთზე სამ აბაზს იღებენ მოგებას.

დღეს ჩვენ საქართველოში თითქმის მოსპობილია საეკკლესიო ნივთების მომზადება. ყველა ამისთანა ნივთები მოდის რუსეთიდამ. ნუ თუ მოუხერხებელი საქმე არის, რომ ეპარქიის მთავრობამ დააწესოს საწყობი ეკკლესიის ყველა ნივთთა, რომ სამღვდელოს და საეროს ადვილად შეეძლოთ მოპოვება ამ ნივთთა და პირიან ფასად. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ქრისტიანე უფრო სიხარულით იყიდის ამ საწყობებში ხატებს და სხვა საეკკლესიო ნივთთა, ვინემ უბრალო დუქნებში.

ეს საქმე ისე ძნელი არ არის, როგორც პირველად ეჩვენება კაცს. ამისთანა საწყობებში ადვილად და გაბედვით შეუძლიათ უფულოდაც გამოგზავნონ ეს ნივთები რუსეთის მექარხნეებმა და გაყიდვის შემდეგ ფულები მიიღონ. ამ კეთილ საქმეში ხალხს უნდა დაეხმაროს სასულიერო მმართებლობა, და ჩვენ სრული დაიმედებული ვართ, რომ ჩვენი სასულიერო მმართებლობა მიაქცევს ამ კითხვას ყურადღებას და ეცდება თავის მხრით გაუადვილოს ხალხს საეკკლესიო ნივთების მოპოება და თავიანთი ტაძრების განშვენება.

მწარე ფიქრები.

(გაგრძელება)

თქვენ თვალწინ წარმოგიდგებათ სომხების ეკკლესიის წინ ურიების სამლოცველოები, რომელნიც მშვენიერი თლილი ქვით არიან აგებულნი. ამათაც გარედ ავლიათ გალავანი და შიგნითაც მორთულნი არიან შესაფერად. ამ სალოცავების ეზოშიდაც ხედავთ თქვენ ბავშებისთვის სასწავლებელს. ურიების რაბინები და ხახმები ყოველივე ღონის ძიებას ხმარობენ, რომ პატარა ბავშებს ასწავლონ კითხვა და შთააგონონ თავისი სარწმუნოების დოღმატები და ისტორია. ჰკითხეთ, რომელსაც გინდა, ებრაელს, თუ მოსეს ცხოვრებაზე და სჯულზე ყველაფერი არ მოგითხროს. ჰკითხეთ ებრაელების მოგზაურობაზე აღთქმის ქვეყანაში ეგვიპტიდამ წამოსვლის დროს, თუ ყოველივეს დაწვრილებით არ მოგიყვეს. არ გვინახავს არასოდეს, რომ ურიის ხახამი მართებლობასთან მისულიყოს საჩივლელად დრამის გარდახდევინებაზე... ეს ხალხიც ძლიერ მცირე რიცხოვანია ქუთაისში, მაგრამ თავისი სარწმუნოების საქმე ასე მტკიცედ უჭირავს.

მიიხედავთ სამხრეთისკენ და თქვენ თვალწინ წარმოგიდგებათ საკათედრო სობოროო. ადგილი სობოროსთვის ამორჩეულია მშვენიერი, მაგრამ როდესაც ამ შენობასთან წარმოვიდგენთ იმ დიდ-ძალს ფულს, რომელიც უნდა დახარჯულიყო მის აგებაზე, უნებურად ვამბობთ: ძლიერ ძვირად არ დასჯდომიათ! ვერ მოუხერხებიათ, რომ ამ ეკკლესიას გალავანი შემოაელოო. ეკკლესიის ირგვლივ თავისუფლად შეუძლიათ სეირნობა ყოველ გვარ ცხოველებს და, თუ ეკკლესიის კარებზედაც არავინა სდგას, შეიძლება... ბალავნის უმექონელობისა გამო მლოცველის დაწყობილი გრძნობა ხშირად იფანტება გარეგანი ხმაურობით და ფაეტონების რიხინით. რაიცა შეეხება კრებულის სადგომებს და სამრეველო სკოლის შენობას, ესენი არც ყოფილა, არც არის და, ვგონებ, არც იქნეს ოდესმე. ყოველს ადგილს საკათედრო სობოროებთან და ან მათ მახლობლად საჭიროდ დაუნახავთ კრებულის სადგომების აშენება, მაგრამ ამისთანა შენობების აგება ჭუთაისში საჭიროდ არ უცვნიათ, თუმცა ადვილი მოსახერხებელი იყო.

საკათედრო სობოროს მახლობლად თქვენ ხედავთ მთავარ-ანგელოზის ეკკლესიას, რომელსაც გალავანიც აქვს შემოვლებული და კრებულთათვისაც არიან შესაფერი სადგომები, რომლებისათვის უნდა უმადლოდენ, ვგონებ, განსვენებულ დეკანოზს ბიორგაძეს.*) აი ამ ეკკლესიის ეზოში ადვილად შეიძლებოდა სკოლის გახსნა და პატარა ბავშვების აღზრდა. აქ სკოლისათვის აქ შენობაც მოინახება, მაგრამ ამ ეკკლესიის კრებულთ არ სცალიანთ ამისთანა «უბრალო» საქმისათვის.

მაგრამ არა თუ ამ ეკკლესიაზე, არამედ არც ერთ მართლ-მადიდებელ ეკკლესიაზე ქ. ჭუთაისშიდ საჭიროდ არ დაუნახავთ სკოლის გახსნა, ანუ პატარა ბავშვების თავის მოყრა კვირა-უქმე დღეებში მაინც და სწავლება.

---

*) შესანიშნავი და პატივცემული კაცი იყო დეკანოზი ბიორგაძე. ერთხელ, მწუხრის დროს, ორი ქალი მოჰყვნენ თავისებურად ტიტინს. მოჰკრა თუ არა ყური დეკანოზმა ბიორგაძემ ამ ლაპარაკს, მისცა წინადადება ორივეს გარეთ გაბრძანებულიყვნენ და ისეთი სახე აჩვენა ამ მობაასეთ, რომ ისინი ხმა ამოუღებლად გარედ გამობრძანდნენ. მამა ბიორგაძე იყო მხნე, გამბედავი და ჭეშმარიტი მოძღვარი და ამიტომაც უყვარდა ის თავის მრევლს. იმისი საქმე იყო თავის მრევლის დამწყესვა.

აგტორი.

ამაზე, რასაკვირველია, გვიპასუხებს ვინმე, რომ ქ. ჭუთაისში მმართველობას აქვს გახსნილი ბევრი სხვა-და-სხვა სასწავლებლები, რომლებითაც შეუძლია ისარგებლოს მართლ-მადიდებელმა ხალხმა. ამ სასწავლებლებით ერთ ნაინად შეუძლიათ ისარგებლონ მართლ-მადიდებლებთან ფრანგებმა, სომხებმა, ებრაელებმა და სხვათაც, მაგრამ მათ მაინც აქვსთ თავიანთ ეკკლესიებზე სკოლები, სადაც მოზარდეთაობას უნერგვენ ეკკლესიისა და სარწმუნოების სიყვარულს. ჩვენ რაღა გვიშლის? დაუდევნელობა და მოუნდომლობა.

ამკარად და ცხადად ხედავთ თქვენ ერთის მხრით ენერგიას, გულ-მხურვალედ საქმის ხელის მოკიდებას და მუშაკ კაცებს და მეორეს მხრით სისუსტეს, მოუნდომლობას და დაუდევნელობას, რომელნიც მწარე ფიქრებს და უიმედობას ჰბადავენ თქვენში და გეშიშებათ, რომ წინანი უკან არ დარჩენ და უკანანი წინ არ წავიდენ.

სპარსეთიდამ.

წერილი რედაქტორთან. *)

«მ. რედაქტორო! თქვენი წერილი, რომლითაც მთხოვდით შემეტყობინებია რამე ამბავი იმ უბედურ ქართველების ჩამომავლობაზე, რომელნიც წინა დროებში წამოყვანილნი იყვნენ საქართველოდამ ტყვედ, მივიღე. თქვენმა წერილმა ძლიერ დამაფიქრა და, როდესაც იმ უბედურთა ბედზე დავიწყე გამოკითხვა, დამაღონა და შემაწუხა.

ჯულფიდამ თეღერანამდის, სადაც მე ვდგევარ, ცხრაასი ვერსი გამოყავესთ და აქედამ იმ ჩვენ მოძმე ქართველებამდისინ, ამბობენ, არის სამასი თუ ოთხასი ვერსიო. მე მრავალ ჯერ მოვინდომე იქ წასელა, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე მიტომ, რომ საშიშოა აქ მგზაერობა, იმ კუთხისკენ

---

*) თუმცა პატივცემულ აგტორს სახეში იქნება არ ჰქონდა ამ წერილის დაბეჭდვა, მაგრამ ჩვენ იმდენ საინტერესოდ მიგვაჩნია ეს წერილი, რომ დიდის სიამოვნებით გბეჭდავთ და, იმედია, შემდეგშიც არ მოგვაკლებს რაიმე ამბავების შეტყობას ამ ჩვენ გადაკარგულ ძველ მოძმე ქართველთა ცხოვრებიდამ.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც. თქვენი წერილის მიღების შემდეგ მე ნიადაგ ვცდილობდი მენახა ვინმე იქაური ქართველთაგანი და, მართლაც, მე ამ ხანებში მქონდა ამისთანა სამიოდე კაცთან ლაპარაკი და რაც შევიტყვე, ვისწრაფი შეგატყობინოთ.

«ჩვენ დღეს თუმცა თათრის სარწმუნოება გვიჭირავს, მითხრა ერთმა მათგანმა, მაგრამ ღმერთს, იმ ღმერთს, რომელიც ჩვენ წინაპარებს სწამდათ, არ ვივიწყებთ. ამის დასამტკიცებლად მრავალს ჩვენგანს ოჯახში აქვსთ სახარება ქართულად დაწერილი და დიდ პატივსცემენ მას. ჩვენში როგორც სახარება ისე ჯვრები აქვსთ და დიდი სასოებაც გვაქვს ამ ნივთებზე დადებილი. ჩვენ ზვირ გადმოცემით ვიცით, რა უბედურებაში ჩავარდნილვართ, მაგრამ ჯვარსა და სახარებას ვიცავთ და სასოება გვაქვს, რომ ოდესმე ან ქართველები მოაწევენ ჩვენამდის და ან ჩვენ გამოგვიხსნის ვინმე აქედამ»... ამ სამივე პირების გამოკითხვიდამ შევიტყვე, რომ აქ ეს ხალხი მრავალი ყოფილა. დღესეც ყოველ კაცს და ბავშებს ნამეტურ წითელი ჯვრები ჰქონებიათ დაკერებული მარჯვენა მხრებზე. ძალებს ერთმანეთში თუ გაათხოვებენ, თორემ სხვა თემს არავის მიათხოვებენო. როდესაც ლამაზი ვინმე შეინიშნება, ძალით მოსტაცებენ დიდი პირებიო, თორემ თავის ნებით არ შეიძლება, რომ ჩვენ ქალი მივცეთ სხვა თემის ხალხსაო. ამ ხალხს დღესაც ის ჩვეულება, ურმები, ხვნა-თესვა, კალოობა და სხვ. ჰქონებიათ, რაც ჩვენში ქართველებს აქვსთ.

როდესაც დავა ასტყდება რამეზე, სიმართლე და სიმტყუნე ჯვარზე და სახარებაზე დაფიცებით აიხსნება და გათავდება და მით გამოჩნდება სიმართლე და ეშმარიტებაო. რიცხვი ამ ქართველთა, როგორც შევიტყვე, ცხრა ათას სულამდის ყოფილა.

რომელი სოფლებიდამაც წამოუყვანიათ ეს უბედურები საქართველოდამ, სადაც დაუბინავებიათ, თავიანთი სოფლების სახელები დაურქმევიათ იმ ალაგებისათვის. ამისთვის თურმე ხშირად შეხვდებით ამ ალაგებში მარტყოფის, ნინო წმიდის, მეჯრუხევის, ნორიოს და სხვა სოფლის სახელებს. მერომელი კაციც ენახე და ელაპარაკე, პირ-და-პირ ძიზიყურ კილოზე ლაპარაკობდა და საღმრთო წერილის სიტყვებსაც ხმარობდა ლაპარაკში. ამ ხალხის მახლობლად არის მონასტერი სომხებისა, სადაც სომხების ეპისკოპოსი ბრიქური სცხოვრებს მრავალი ბერებით. მათ აქვსთ მშვენიერი ბაღები და ყველაფერი საქმე კარგად მიჰყავსთ.

თქვენი თხოვნით ბევრს ვსთხოვე, რომ ამ ქართველებში ძველი ქართული წიგნები ეყიდათ, მაგრამ დალალებმა დამარწმუნეს, რომ არასფრის გულისათვის არავიზედ ქართულ წიგნებს არ ჰყიდიანო. ძლიერ სურვილი მაქვს, ადგილობრივ მივიდე ამ ხალხთან და გამოვიძიო მათი ამბავი და, რასაც შევიტყობ, გაცნობებთ.

თქვენი და სხვ....

...თანამწირველი ევსევი.

1 ივლისს, 1885 წ.

P. S. სპარსეთის შაჰის მემკვიდრეს ჰქონებია ერთი ძველი ქართული სახარება. ჩემ წინა მოადგილეს ენახა ეს სახარება, მაგრამ ვერ შეეტყო, თუ რომელი წლის არის. ნამეტან ძვირად აფასებენ ამ სახარებას, თორემ შეიძლებოდა ყიდვა.

ე.

«მწყემსის» მე-12 №-ში დაბეჭდილ ბიბლიოგრაფიული შენიშვნის გამო.

ხშირად გამოსული წიგნის გარჩევა, საზოგადოდ, როგორც სხვა ქვეყნებში, აგრეთვე ჩვენშიაც, მიღებულია. მაგრამ უცხოეთში და ჩვენში წიგნის გარჩევის საქმე სულ სხვა ყოფილა. როცა უცხოეთში წიგნს არჩევენ, სახეში აქვსთ უჩვენონ წიგნის ნაკლულევანებაც და ღირსებაც, რომელსაც, რაც უნდა წიგნი იყვეს, სრულებით მაინც არ იქნება მოკლებული. ჩვენში კი, ჩვენდა სამწუხაროდ, სულ სხვა ყოფილა. მომეტებული ნაწილი ჩვენებური წიგნების გამრჩეველებისა იღებენ ხელში ახლად გამოცემულს წიგნს გასარჩევად არა იმ მიზნით, რომ სრულიად დააფასონ წიგნი, ე. ი. უჩვენონ ნაკლულევანებასთან ღირსებაც, არამედ იმ მიზნით, რომ მონახონ ორჯერ და სამჯერ მაზედ მეტი ნაკლულევანება' რაც წიგნში მოიპოვება.

მე არ ვამბობ, რომ ჩემგან შედგენილი წიგნი უნაკლულო იყოს, მასში ბევრი შეცდომეები მოხდა, მაგრამ ეგ არის მიზეზი იმ გარემოებისა, რომელშიაც წიგნი ჩავარდა. მოკლედ გავაცნობ მკითხველს ამ გარემოებას: შედგენის შემდეგ ჩემი წიგნი მინდოდა გამომეცა ქუთაისში, სადაც შემეძლო თვალ-ყური მედევნებია, მაგრამ რადგანაც ქუთაისში ცენზორი

*) როგორც გენერალი ჩირიკოვის მგზაურობის აღწერიდამ სჩანს, ქართველები და სომხები სცხოვრებენ ფერიდენის მიყოლ-მოყოლებაში. ქართველების სოფლებს ეწოდება: ოფუს, ახურე—ი—ბალა, ახურე—ი—პაინ, ბუინ, დუიმ—ი—კემერ, ოდეგუნ და სხვანი. ალბათ ეს ალაგები ძველიდგან ასე იწოდებიან, მაგრამ ქართველებმა უწოდეს მათ თავიანთი სოფლის სახელები.

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იყო, ხელთ-ნაწერი თბილისში გაუგზავნე ერთ ახალ-გაზდა განათლებულ კაცს—სიყრმიდგან ჩემს ამხანაგს და მეგობარს და ესთხოვე, რომ მას ცენზორისაგან ნება-რთვა აეღო და, წიგნის გამოცემა რა დამიჯდებოდა, მოეწერა. აი რა შემწეობა აღმომიჩინა აღნიშნულმა ახალ-გაზდამ: მან ჩემი თხოვნის აღსრულებას არ მაკმარა და შემპირდა, რომ კორექტურულ შეცდომების გასწორებასაც ეიკისრებო; მე იმედი მომეცა და მადლობა მივსწერე... ბოლოს კი გავიგე, რა შემწეობაც აღმომიჩინა აღნიშნულმა პირმა: თურმე კორექტურულ შეცდომების გასასწორებლად რო გაუგზავნიდა მესტამბე წიგნის ფურცლებს, ის მაშინვე, ხშირად წაუკითხავად, ხელს აწერდა და სტამბაში აგზავნიდა. აი შემწეობაც ამას ჰქვიან... მაგრამ წამხდარ საქმეს რა გაეწყობა! მე მისი მაინც მადლობელი ვარ, ამიტომ რომ, თუმცა წიგნი კორექტურული შეცდომებით ამოესო, მაგრამ მე კი გამოცდილებაში ერთი ნაბიჯი წინ წამადგმევინა... ამას ახლა თავი დავანებოთ და მივიქცეთ ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებისადმი. შენიშვნების დამწერი ამბობს: «სსჯულ-მძღვანელობს ჩქვიან: «სამღრთო». სამღრთო კი არა, უნდა გეთქვათ საღმრთო». მერმე არჩევს ამ სიტყვას და უჩვენებს, თუ რომელ ფესვიდან წარმოსდგება ეს სიტყვა. შენიშვნების დამწერს ბევრი განმარტება არ დაჭირდებოდა, რომმას ენახა, თუ როგორ ვხმარობ მე ამ სიტყვას წინასიტყვაობაში და ან სხვა ადგილას. მე ყველგან, გარდა ნაჩვენებ ადგილისა, ვხმარობ: საღმრთო და არა სამღრთო და რადგანაც აგრე ვხმარობ, შენიშვნების დამწერი ამ სიტყვის ფესვს და ძირს რაღას სძებნიდა, არ ეიცით!

შენიშვნების დამწერი მიწუნებს სიტყვას: საყოველ-ქვეყნოს და მირჩევს ვიხმარო სიტყვა: მსოფლიო. მსოფლიო და საყოველ-ქვეყნო ერთი და იგივეა, მხოლოდ განირჩევიან მით, რომ პირველი მაუგანი მარტივი სიტყვაა და მეორე რთული, მაგრამ საცა რთული სიტყვა ბავშების გასაგებად უადვილესია მარტივ სიტყვაზე, იქ რთული სიტყვის ხმარება კანონის წინააღმდეგი არ არის და კიდეეაც უმჯობესია, კაცმა აგეთ შემთხვევაში რთული სიტყვა იხმაროს ვიდრე მარტივი.

შენიშვნების დამწერი მეკითხება: ჩქვიან რა სიტყვაა, ან სად იხმარებაო? და მიაჩნია «უცხო სიტყვად» ეს სიტყვა წარმოსდგება სიტყვიდგან: ეარქმევ, მქვიან, გვქვიან, ჰქვიან; ჰქვიოდა, წარსული დროა. ეს სიტყვა უცხო არ არის და იმერეთში ძლიერ ხშირად ხმარობს, არა მარტო დაბალი ხალხი, არამედ სხვებიც. მე მაქვს ნათქვამი: მოამზადებინა მათთვის საჭმელი: პური და საუკეთესო ხბო. შენიშვნების დამწერი ამბობს: «ხბო კი არ მოამზადა, ხბო დაჭკლაო». უსახელო კრიტიკოსს შეუძლია ჩახედოს სხვა და სხვა წიგნებში და ცხადად დაინახავს, თუ არ ხმარობენ ისე, როგორც მე ვხმარობ. მაგალითად, აი როგორ ამბობს დეკანოზი მ. მიხეილ ბოღოსლოვსკი: «выбралъ тучнаго теленка и велѣлъ отроку приготовить его, когда готовы были и прѣсные хлѣбы и теленекъ». ბანა აქ ამბობს რაიმეს პატივცემული ავტორი ხბოს დაკლაზე?! და არ ჩსანს, რომ ხბოს დაჭკლავდნენ?! იქნება თქვას შენიშვნების დამწერმა, რომ მ. ბოღოსლოვსკიც შემცდარიაო, მე სხვა ავტორების წიგნებშიაც ჩავახედებდი მასს, მაგრამ შეიძლება კიდევ სხვებსაც დაუწუნოს და ყველა შეცდომათ ჩაგდოს, მაგრამ დაბადებას სადღა წაუვა? იხილე, ბ. შენიშვნების დამწერო. პირველი წიგნი მოსესი, თავი 18, მუხ. 7—9. და თუ იმას ფიქრობთ, რომ ყმაწვილებისათვის უფრო გასაგები იქნებოდა, რომ მეთქვა ხბოს დაკვლა, ამაზედ მოგახსენებ: ჩვენებური ყმაწვილები აგრე უგუნურნი არ არიან, რომ ვერ გაიგონ რომ ხბოს დაუკლავად არ ამზადებენ.

მე 30 §-ში, რომელშიაც არის აწერილი უდაბნოში ებრაელების კერპ-თაყვანისცემა, მაქეს ნახმარი შემდეგი ფრაზა: «ებრაელებმა მეორე დღეს ხბოს მსხვერპლი შესწირეს». შენიშვნების დამწერი ამას არ ერწმუნება და ამბობს: «თქვენი ნათქვამიდან გამოდის, რომ მსხვერპლი ღვთისთვის კი არა, ხბოსთვის შეუწირავთ. აბა კარგა დაფიქრდითო». დაფიქრებას სხვას ურჩევს და თვითონ შენიშვნის დამწერი კი არ ფიქრობს, რას ამბობს. მაშინ რომ ებრაელებს ღვთისთვის შეეწირათ მსხვერპლი და არა ხბოს კერპისთვის, რომელიც ებრაელებმა აბრონს ჩამოასხმევინეს, აღარც ღმერთი უბრძანებდა მოსეს: «ჰქმნეს თავისა მათისა ხბო და თაყვანისცეს მას, და შესწირეს მუნ»... (იხილე გამოსე. 32. 8). აი კიდევ როგორ ბრძანებს საღმრთო წერილი: «და ქმნეს ხბო ქორეს და თაყვანი სცეს კერპსა მას.» (იხ. ფსალ. 105, 19). ეს ორი ადგილი რომ წაგეკითხათ ბ. შენიშვნის დამწერო, მაშინ აგრე დაუფიქრებლად არ ბრძანებდით, რომ ებრაელებს უდაბნოში ხბოსთვის, ან მისი კერპისთვის თაყვანი არ უციათო. აბა ახლა თქვენ დაფიქრდით კარგად.

შენიშვნების დამწერი ამბობს: «ჩვენ არ გვესმის, რა არის უმანკო მსმრობითი სქესი». შენიშვნების დამწერმა ჩაიხედოს ლევიტელთა წიგნში, თავი 1, მუხლი 10 და ბ. დ. ჩუბინოვის ლექსიკონში, გვერდი 276

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, რადგანც არ ესმის, გაიგებს, რა არიან ეს სიტყვები და იხმარება აგრე, თუ არა.

შენიშვნების დამწერი ამბობს: «კუბანეიშვილი ხმარობს: სჯულს, შჯულს და რჯულს, დალოცვილო, იხმარეთ ან ერთი, ან მეორე». ძეროთხეულო! მეგეც შეცდომათ მიგაჩნიათ?! ახლად გამოცემულ ქართულ დაბადებაში ზოგან ნახმარია სჯული (იხ. გამოსვ. 12, 49) და სხვა ადგილები, ზოგან შჯული (იხ. ფსალ. 131, 12 მეორე შჯულის წიგნი) და რჯულიც იგივეა, რაც სჯული და შჯული, (იხ. ქართული ლექსიკონი საბა-სულხან ორბელიანისა, გვერდი 357.)

შენიშვნების დამწერი ამბობს: «კაენის მსხვერპლი ღმერთმა უფრო იმიტომ არ მიიღო, რომ მას (კაენს) არა ჰქონდა სარწმუნოება მომავალს და აღთქმულს მაცხოვარზედ, კუბანეიშვილს კი სხვა მიზეზები დასუსხელებია და ეს უმთავრესი დავიწყებია». და ამიტომ ის მწამებს დოღმატიურ შეცდომებს. მე მაქვს ნათქვამი აბელზე, რომ მას ჰქონდა სარწმუნოება მომავალ მაცხოვარზედ და ამიტომ ღმერთმა აბელის მსხვერპლი მიიღო და, თუ კაენის ურწმუნოება არ მითქვამს, აქედან არ სჩანს, რომ კაენს ჰქონოდა სარწმუნოება, ამიტომ რომ კაენის ხასიათი და რწმუნება წინააღმდეგია ყოველ შემთხვევაში აბელის ხასიათისა და სარწმუნოებისა, როგორც თვითონ მოთხრობიდანც სჩანს ეს და ამისთვის აქ დოღმატიური ძალა სრულიად არ იკარგება, როგორც ფიქრობს შენიშვნების დამწერი. ბ. შენიშვნების დამწერო! შეგიძლიათ ჩახედოთ დაბადებაში, წაიკითხოთ მოსეს პირველი წიგნი, მეოთხე თავი, მუხლი 3 8 და დაინახავთ, თუ რაიმეა ნათქვამი კაენის ურწმუნოებაზედ და აბელის სარწმუნოებაზე. ახლა ჩახედეთ პავლე მოციქულის ეპისტოლეში (ებრაელ. თ. 11 მუხ. 4), აქ ნახავთ აბელის სარწმუნოებაზედ და კაენის ურწმუნოებაზედ არას ამბობს, თქვენი ჰაზრით, უნდა გამოდიოდეს დოღმატიური შეცდომა მოსეს წიგნშიაც.

შენიშვნების დამწერი ამბობს: «მე 83 გვერდზედ ნათქვამია, რომ მარიამი მღვდელ-მთავარმა ტაძრის კარებზე «მიიღო ღვთის შთაგონებით», მაშინ როდესაც მარიამის და სხვა ქალწულების ტაძარში მიღება მღვდელ მთავრის პირ-და-პირი მოვალეობა იყო და ამისთვის სრულიად საჭირო არ იყო ღვთის შთაგონება, პირიქით შთაგონება საჭირო იყო მაშინ, როდესაც მღვდელ-მთავარმა მარიამი შეიყვანა წმიდა-წმიდათაში და ამაზედ კი არ არის მოხსენებული». მე არა მაქვს ნათქვამი, რომ მღვდელ-მთავარმა მარიამი ტაძრის კარებზე მიიღო ღვთის შთაგონებით. მე მაქვს ნათქვამი, რომ მღვდელ-მთავარი გამოეგება კარებში, აქ მძიმე მაქვს დასმული, მერე ვამბობ: მიიღო ის ღვთის შთაგონებით, შეიყვანა წმიდა-წმიდათაში. აქ მხოლოდ ერთი კორექტურული შეცდომაა და არა დოღმატიური, როგორც ფიქრობს შენიშვნების დამწერი. აი როგორ: მიიღო ის, აქ უნდა იყოს ან მძიმე, ან კავშირი: და, მერმე: ღვთის შთაგონებით შეიყვანა წმიდა-წმიდათაში. შენიშვნების დამწერს კორექტურული შეცდომა დოღმატიურ შეცდომად არ უნდა მოჩვენებოდა!

შენიშვნების დამწერი არჩევს სიტყვებს: ეჭამათ უცომო პურით და ამის შესახებ ამბობს: «პირველად გვესმის, რომ პური უცომო ყოფილიყოს, ალბად ავტორს თანახმად ისტორიისა ჰსურდა ეთქვა: ეჭამა უხაშო პურით. (ხმიადებით)». მე კიდეც ვიცოდი და კარგადაც ვიხმარე და თქვენ რომ პირველად გესმოდეთ უცომო პური, ეგ დიდი უბედურება არ უნდა იყვეს და არც ჩემი შედგენილი წიგნის ბრალია; ალბათ არა გცოდნიათ, რა არის სიტყვა: უცომო და ეს სიტყვა გსურს შეიცვალოს სიტყვით: უხაშო, მაგრამ უცომო და უხაშო ერთი და იგივეა, როგორც რუსული სიტყვები: **быкъ** და **волъ**, და რადგანაც ერთი და იგივეა ეს ორი სიტყვა, თუ უხაშო პური ითქმის, რატომ უცომო არ ითქმის??!! და რომ უცომო და უხაშო ერთი და იგივეა (და თუ გნებავს კიდევ: უსაფუვრო, უბლარჯო), იხილე წიგნი გამოსვლათა თ. 12, მუხ. 15, 20; წიგნი შექმნათა თ. 19, მუხ. 3 და თუ გნებავსთ კიდევ სხვა ადგილებიც, რადგან სიტყვა უცომო ბევრგან იხმარება საღმრთო წერილში და ჩახედეთ საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში (გვ. 311, 367—118).

შენიშვნის დამწერი ამბობს: «მე § 79-ში ჯერ ლაპარაკობთ დედების საფლავზე მისვლას და მერმე ქრისტეს აღდგომაზე, ასე რომ უმთავრესი ყურადღება მიქცეულია არა ქრისტეს აღდგომაზე. როგორც სახარებაშია (იხ. მათ. 28 თ.), არამედ უფრო მცირე მნიშვნელოვან საგნებზე, თუ არა გჯერათ ჩემი ნათქვამი, აბა ერთი კიდევ წაიკითხეთ ეს §-ი. მართალია, პირველად ვლაპარაკობ დედების საფლავზე მისვლას და მერმე ქრისტეს აღდგომაზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უმთავრესი ყურადღება იყოს მიქცეული არა ქრისტეს აღდგომაზე. დასამტკიცებლად ამისა მოვახსენებ შენიშვნის დამწერს, რომ თვითონ მახარებელი მათეც, რომლის სახარებაზე ის მითითებს, და სხვა მახარებლებიც ყველა (მარკ. 16 თ., ლუკა 24 თ., იოანნე 20 თ.) პირველად დედების მისვლაზე სწერენ და თუ არ გჯერათ, აბა ახლა თქვენ ჩახედეთ ოთხივე სახარებაში და კარგა დაუკვირდით. და თქვენ რომ დოღმატიურ შეცდომათ მიგიღიათ ესა (ე. ი. დედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის პირველად საფლავზე მისვლის თქმა) სახარებაებზე რაღას იტყვით?! აგეთ შენიშვნების დამწერს დიდი მოფიქრება და გამჭრიახობა მართებს.

შენიშვნების დამწერი ამბობს: «წიგნში სულ 87 §-ია, იმათგან ზოგი ამოღებულია სოკოლოვის «**Начал. наст. въ прав. хр. вѣрѣ**», ზოგი კი იმავე ავტორის «**Свящ. ист. вет. и нов. зав.**»; თუ კარგად წაიკითხეთ ჩემი შედგენილი წიგნი, დაინახავდით, თუ რამდენი ცნობებია მასში, რომ არც ერთ თქვენ დასახელებულ წიგნებში არ სწერიან? ჩემი წიგნის ტექსტები და მ. სოკოლოვის **примѣчаніе**-ბი რამ შეგაერთებიათ ერთად?! შენიშვნების დამწერი ამბობს: «ბოლოში არც კი ჩაურთავთ შეცდომების აღნიშნული ტაბლიცა». თქვენ ძლიერ აჩქარებულხართ, შენიშვნები დაგიწერიათ სანამ წიგნი ფორმალურად გამოვიდოდა; არც კი იყო ჯერ გამოცხადებული წიგნის არსებობაზედ, რომ თქვენი შენიშვნები ორი კვირით წინ იყო დაწერილი, *) თორემ ტაბლიცას მაინც არ უარყოფდით. სხვა შეცდომებსაც აღმოუჩენდი შენიშვნების დამწერს, მაგრამ ეგეც კმარა. საზოგადოდ შენიშვნები არის დაწერილი აჩქარებით, დაუკვირებლად და დაუფიქრებლად, რის გამოც შენიშვნების დამწერი თვითონ ხშირად ვარდება შეცდომაში.

მღვ. ნესტორ ყუბანეიშვილი.

პირობანი მწყემსთა და სამწყსოთა ურთი-ერთ შორის მშვიდობიანობისა

(დასასრული).

მაგრამ, რაც უნდა იყოს, მღვდელიც კაცია. მასაც აქვს თავიასი მოთხოვნილება და ეს მოთხოვნილება ითხოვს ცოტა ოდენ დაკმაყოფილებასა. რიგია და კანონი, რომ კაცმა შემწეობა აღმოუჩინოს მასს, ვინც უკიდურესს მდგომარეობაშია, რომ ისიც კაცად დარჩეს. მაგრამ რითი უნდა გავაუმჯობესოთ სამღვდელოების მდგომარეობა, რომ უკანასკნელისთვის საჭიროარ იქმნეს თავის მღვდელმოქმედებისთვის ტაქსით დაწესებულზე მეტის აღება და ამ ფრად ვაჭრობა მოისპოს მღვდელსა და მრევლს შორის. ამის მოსპობა არ შეიძლება, როგორც ზოგნი ფიქრობენ, იმ ჩვეულების გადაგდებით, რომლის ძალით მღვდელი თავის საშრომის ფასად იღებს მრევლისაგან ფულს ანუ ხორაგს. კიდეც რომ მოსპოთ ეს ჩვეულება კანონით, ის მაინც კიდევ დარჩება ხალხში. მაგრამ ეს წყარო სამღვდელოების შემოსავლისა კი არ უნდა მოისპოს, არამედ, რადგან ის საკმაო არ არის, უნდა შეივსოს რითიმე. კარგი იქნებოდა, რომ სამღვდელოებას გარდა მათი სამრევლოდამ კანონიერი შემოსავლისა მიეცემოდესთ ცოტა ფასით ის საეკკლესიო ადგილები, რომლებითაც აქამომდე სამღვდელოება სარგებლობდა ცოტა ფასით და რომლებიც, ადგილები, ეხლა ვაჭრობით იცემიან და ვინც უმატებს, იმას რჩება სასარგებლოდ. გარდა ამისა, თითოეული ეკკლესიის კრებულს რამე წყაროდამ რომ დაენიშნებოდეს 200-დამ 300 მანედამდე წელიწადში, მაშინ სამღვდელოების ნივთიერი მდგომარეობა გაუმჯობესდებოდა და ამით მოისპობოდა მღვდლებისაგან ვაჭრობა და ტაქსით დაწესებულზე მეტის აღება, რომელიც უმთავრესი მიზეზია იმ ცუდი დამოკიდებულებისა მღვდელსა და მრევლს შორის, რომელსაც დღეს ვხედავთ ზოგან.

ტაქსაზე მეტის გადახდევინებას და ვაჭრობას გარდა არიან კიდევ სხვა მიზეზნიც ცუდი დამოკიდებულებისა მღვდელსა და მრევლს შორის. ამ მიზეზებს ვერ მოსპობს კაცი ვერაფერი მღვდლის ცხოვრების ნივთიერად გაუმჯობესობით; ეს მიზეზნი არსებობენ თვითონ მღვდლის ხასიათში და მის მრევლზე შეხედულობაში. ზოგიერთი მოძღვრები ძალიან ზევიდამ უყურებენ თავიანთ სამწყსოს და იღებენ «ნაჩალნიკურ» შეხედულობას. მოსაწონი არ არის, როდესაც სამრევლოს არაფერი მორიდება და ჩაგდება არ აქვს მღვდლისა, მაგრამ არც ის არის საქები, როცა მწყემსნი «ნაჩალნიკურად» ექცევიან თავიანთ სამწყსოთ. ყველაფერში საჭიროა ზომიერება. ზოგი მოძღვარი, საუბედუროდ, როგორღაც თაკილობს თავის სამწყსოსთან ლაპარაკს და ისე იქცევა, ვითომ რომელიმე მისი სამრევლოთაგანი ღირსი არ იყოს მასთან ბაასისა, გზაში არ კადრულობს დაელაპარაკოს თავის სულიერ შვილს, უკეტავს მას კარს და არ უშვებს სახლში. რამე საჭიროებისთვის მოსულს კაცს რამდენიმე საათს აცდევიებს კარებზე. ცხადია მკითხველისთვის, რომ ამფერი მოძღვრის საქციელი არავისთვის მოსაწონი არ არის. და რა გასაკვირია, როდესაც ამისთანა მოძღვარს იძულებს

---

*) ამ სიტყვებში არ ვეთანხმებით ჩვენ პატივცემულ ავტორს. შენიშვნების დაბეჭდვამდის თითქმის ორი კვირით წინ იყიდებოდა ამ ავტორისაგან ახლად გამოცემული ისტორიები ქილაძის წიგნის მაღაზიაში და როდისღა ჩაურთავდნენ გაყიდულ წიგნებში შეცდომების გასწორებას?

რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრევლი და ზოგჯერ იქამდისაც მიდის საქმე, რომ მოძღვარი ზოგიერთ შემთხვევაში იძულებულია დასტოვოს მრევლი და თავს უშველოს. ზოგიერთნი მოძღვარნი, რამდენათაც ჩვენ ვიცით, თავისი ამ ფერი მოქცევით გამოიწვევენ ხოლმე თვისდამი მრევლის სიძულილს და მტრობას.

მაგრამ ყველაზედ უფრო მოძღვრისადმი სიძულილს მრევლის მხრით იწვევს ის გარემოება, რომ ზოგი მღვდლები ხშირად თავის დროზე არ უსრულებენ მრევლს რომელიმე მღვდელ-მოქმედებას. ეს ავისთვის სასიამოვნო არ არის და ნამეტურ გლეხისათვის, როდესაც მასს ეუბნებიან, რომ მღვდელი ეხლა ვერ წამოვა, რადგან მას სტუმრები ჰყავს, ანუ სძინავს, და ამგვარად გლეხი იძულებულია რამდენჯერმე მივიდეს მოძღვართან სათხოვნელად და მასთან საათობით უცადოს მღვდლისაგან პასუხს ქუჩაში. ყველაზე უფრო გლეხი აქებს თავის მოძღვრის თავმდაბლობას, კაი შეყრას, რიგიანად და თავის დროზე რამე მღვდელ-მოქმედების შესრულებას და მასთან ამ შრომისთვის ზომიერ სასყიდლის აღებას და, მართლაც, რომ ჰკითხო გლეხს, თუ რათ აქებს ის თავის მოძღვარს, მაშინვე მოგიგებს: «როგორ საქები არ არის, ბატონო, ჩემი მოძღვარი? მღვდელ-მოქმედებისათვის ცოტას ითხოვს, რასაც მისცემ, იმას აიღებს, თუ რამეზე დაგჭირდა, პატარა ბავშვიც რომ გაუგზავნოთ, მაშინვე მოვა. თუ მიხვალ მასთან რამე საქმისთვის, მაშინვე სახლში მიგიღებს, სკამს მოგართმევს და მამასაკით დაგიწყებს ლაპარაკს. ზოგნი კი სახლშიდაც არ შეგიშვებენ». აი რას აფასებს ხალხი და მართლაც ამფერი მოქცევა ნაკლები არ არის ქადაგებითი სიტყვაზე. ამ ფერი მღვდლის საქციელი ფარავს ბევრს მის ნაკლულევანებას და მრევლიც ყოველთვის მადრიალია ამისთანა მოძღვრებისა. ამასთანავე თუმც მღვდელი კაი ცხოვრებისა არის, კრძალულებით მღვდელ-მოქმედებს, მეცადინეობს თავის ეკკლესიის გამშვენებას, ჰქადაგებს ღვთის სიტყვას, მაშინ მრევლი ისე იყვარებს თავის მოძღვარს, რომ მას, როცა ის სხვა სამრევლოში გადაჰყავთ, მისტირის უკან.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ამისთანა მოქცევით მდაბლდება მღვდლის ღირსება და მღვდელი გლეხების ქვეშევრდომად იქცევა. სულაც არა: წინააღმდეგ თვით მრევლი გახდება მღვდლის ქვეშევრდომი და სულით და გულით მისი სიტყვის აღმსრულებელი. ამაზე ბევრის ლაპარაკი საჭირო არ არის, რადგან ცხოვრების მაგალითები გვიმტკიცებენ ამას.

ამიტომ, თუ მღვდელს სურს, რომ მას და მის სამწყსოს შორის არსებობდეს მამაშვილური სიყვარული, უნდა დაუმტკიცოს მრევლს თავის მოქმედებით და თავისი ცხოვრებით, რომ ის არის ნამდვილი მწყემსი, რომელიც მზათ არის თავი შესწიროს თავის მრევლის ბედნიერებას და წარმატებას. ამასთან საჭიროა მღვდელმა კარგად შეიგნოს თავის მწყემსური მოვალეობა. მას მუდამ უნდა ამხნევებდეს და ამოქმედებდეს ის აზრი, რომ ის პასუხის მგებელია იესო ქრისტეს წინაშე ყველა დაღუპული მოწაფისთვის, რომელიც დაიღუპა მოძღვრის უყურადღებობით. ამ აზრით გამხნევებული მოძღვარი მრევლთან კეთილი განწყობისათვის, რომელიც საჭიროა მოძღვრის მოვალეობის ნამდვილად შესრულებისათვის, მზად იქნება შესწიროს თავისი პიროვნული ინტერესები თავის მრევლის კეთილდღეობას. თუ ამ აზრით არ არის გამსჭვალული მოძღვარი, მაშინ ის თავის მრევლის სულიერ და ზნეობით აღმატებაზე და წარმატებაზე კი არ ფიქრობს, არამედ—თავის ნივთიერ მდგომარეობაზე და თავის ყოველივე მოქმედებისაგან გამოელის თავის სარგებლობას და ეს არის მიზეზი, რომ ხშირად მღვდელს და მრევლს შორის არ ფუძნდება კეთილი განწყობილება.

ჩვენ აქ მოკლეთ უჩვენეთ ის მიზეზები, რომლებიც ბადავენ მღვდელს და მრევლს შორის უთანხმოებას და სიძულილს. ამითი არ იხსნება მთლად ჩვენგან აღძრული კითხვა, რადგან არსებობენ კიდევ სხვა გარეშე და შემთხვევითი მიზეზები, რომლებიც მთლად დამოკიდებულნი არ არიან მარტო სამღვდელოებაზე, არამედ სამწყსოზედაც. ამ მიზეზების გამოკვლევა და მოსპობა დამოკიდებულია ცხოვრებაზე. მაგრამ მღვდელი მაინც ვალდებულია ხელმძღვანელობდეს თვისი კეთილ გონიერებით, რომ მას და მრევლს შორის უთანხმოებას და არა სანატრელ დამოკიდებულებას ბოლო მოეღოს.

ამ მუდ დროებ.

Ამოიცვალა ჩვენი დროება,
სულ სხვა მიიღო მან ფერი თვისი,
ძლიერ გაფუჭდა ხალხის ზნეობა
სიკეთისათვის არავინ ზრუნავს,

ყველა ღალატობს თვისს ღვიძლს მოძმესა
და გულში ცუდსა მისთვის იზრახავს.
ძმა თვის ღვიძლ ძმასა უგებს მახესა,
სცდილობს დაღუპოს იგი სრულიად;
პირში უცინის, უძახის «ძმასა»...
ზურგს უკან კბილებს ულესავს მას;
საერთო მიზანს არავინ ელტვის,
ყველა თაყვანს სცემს პიროვნებასა,
და, ვინც ქვეყნისთვის კარგს რასმეს იტყვის,
მას დაუწყებენ დევნულებასა.
წახდა, გაფუჭდა ხალხის ზნეობა,
ბნელმა მოიცვა ყოველის გული,
აწ აღარ არის პატიოსნება,
სინდისი, ძმობა და სიყვარული.
ყოველის გულში ბოროტი ჰყვავის
უხარის ბოროტს თვისი დიდება
და სიმართლე კი შორიდგან სტირის,
ბრწყინვალე ცრემლი თვალთგან ცვივდება;
თითქო თვით სთხოვდეს უმეცარ კაცსა:
მიმიღე შენში და დამამკვიდრე,
და განგინათლებ გულის-სიღრმესა,
ვით ბნელ ღამესა შუქმფენი მთვარე.
ძმანო, ბოროტი ჩვენგან განვაგდოთ,
ვსტყორცნოთ ისარი მას გესლიანი,
სიბნელისაგან გული განვსწმინდოთ,
ვეცადოთ, გავხდეთ კარგი ზნიანი.
მივიღოთ ნათლის ჩვენ ბრწყინვალება,
რომ განასხივოს მან ჩვენი გული,
კვლავ აღადგინოს პატიოსნება,
ძმობა, ერთობა და სიყვარული.

ილ. ფერაძე.

მატიანე

საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ხუთი ეპარქიის დაარსების საქმე საქართველოს საექსარხოსოში უკვე გათავებულა. იმერეთის ეპარქიას შეადგენენ ქუთაისის, შორაპნის და რაჭის მაზრები. ამავე ეპარქიაზე მიწერილია სვანეთი. გურიის და სამეგრელოს ეპარქიები შეადგენენ ერთ ეპარქიას, რომელსაც ეწოდება სახელი: სამეგრელო-გურიის ეპარქია. ამ ეპარქიას შეადგენენ: ზუგდიდის, სენაკის, ოზურგეთის და ლეჩხუმის მაზრები. ამასთან ამ ეპარქიაზე არის მიწერილი ბათუმის და ართვინის სამფლობელოები. აფხაზეთის ეპარქიას ემატება ნოვოროსიისკიდამ შტატები. საეპარქიო კანცელარიები შედგებიან სეკრეტრის, მისი თანაშემწის და მწერლებისაგან. სეკრეტარს და მის თანაშემწეს ამტკიცებს საქართველოს ექსარხოსი.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ დეკანოზი მამა სიმონ ბეგიევი უკვე შესდგომია ერთი რუსული წიგნის თარგმნას, სახელდობრ: «როგორ სცხოვრობენ ჩვენნი გარდაცვალებულნი და როგორ ვცხოვრებთ ჩვენ შემდეგ სიკვდილისა. ეს წიგნი ამ ბოლოს დროს ფრანცუზულ ენაზედაც გადათარგმნეს და სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენს ენაზედაც გადაითარგმნოს. სწორეთ კაი დროს მიუყვია ხელი პატივცემულ დეკანოზ ბეგიევს ამ წიგნის თარგმნისათვის.

***

გამოვიდა და ისყიდება პატარა წიგნი, შედგენილი ბლალოჩინის მღვდლის მამა ალექსი შარაბიძის მიერ, სახელდობრ: «ვაი ღოთებს.» წიგნი ორ შაურად ღირს.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ორი წლის განმავლობაში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისაგან დატოვებული ფული ქუთაისში სემინარიის დასაარსებლად, თანახმად სამღვდელოების უკანასკნელი შეკრებილების გარდაწყვეტილებისა, მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა გამოითხოვა სახელმწიფო ბანკისაგან დასარიგებლად კუთვნილებისა მებრ.

***

თფილისიდამ გვწერენ, რომ იქ ერთი ებრაული ასოებით დაწერილი და დაბეჭდილი წიგნი აღმოჩნდაო, რომლის ასოები ურიულია და სიტყვები კი ქართულიო.

***

ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი ძველი ხელთნაწერი წიგნი, რეგლამენტი პეტრე დიდისა, თარგმანი გაიოს არქიეპისკოპოზის ნაცვლისშვილსა.

კათოლიკოზი ანტონი II.

(დასასრული).

1817 წ. ექსარხოსი საქართველოისა გაწვეულ იქმნა პეტერბურღს და მის მაგიერ დანიშნულ იქმნა თეოფილაქტე, სინოდის წევრი, არხიეპისკოპოსი რიაზანისა. დათხოვნილ იქმნა აგრეთვე ღოსითეოზი (შიცხელაური) თელავის და კავკასიის არქიეპისკოპოსის თანამდებობიდამ.

ᲗᲔᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲔ, თანამდებობაზე აღვიდა თუ არა, მიაპყრო თვისი ყურადღება სამწყსოს დაცემულ მდგომარეობას და ქართლ-კახეთის სამწყსოს გაუმჯობესობას გარდა, იმერეთის სამწყსოებიც უყურადღებოდ არ დასტოვა. იგი წავიდა იმერეთში და გაიგო იქაური ეკკლესიის მდგომარეობაც. მაგრამ, როგორც სჩანს შემდეგის წერილიდამ, ხალხს სრულიად არ მოეწონა თეოფილაქტეს იქ ყოფნა და მეტადრე ის ცელილებანი, რომელნიც სურდა მას შემოეღო იმერეთშიაც.

ᲗᲐᲕᲐᲓᲜᲘ, აზნაურნი და გლეხნი წულუკიძეებს, იაშვილებს, ჯაფარიძეებს, ᲨᲘᲤᲘᲐᲜᲔᲑᲡ და ყველა რაჭის კეთილ-შობილთ (ლოსიათ-ხევიდამ) მოახსენებენ, რომ თეოფილაქტეს იმერეთში მოსვლამ დიდ მწუხარებაში ჩაგვყარაო. ჰაზრი წერილისა ის არის, რომ როგორც ქართლში შეავიწროეს ეკკლესია, ისეც ჩვენში უნდა შეავიწროონო. ეკკლესიებს, მონასტრებს დაგვინგრევენ, ჯვრებს და ხატებს წაგვართმევენო. საკუთარ ჩვენგან აღზრდილ მღვდლებს გვართმევენ, ჩვენი არქიელების კურთხევას ვეღარ ვეღირსებითო. თუ კი ხელ შეუხებლად შთება სარწმუნოება დაბრმავებულთა ურიათა და სომეხთა და კათოლიკთა, მაშ ჩვენ რაღათ შევადგენთ განსხვავებასო. თუ კი საშინელი აგარიანნი, მტერნი ჩვენნი, ჩვენ სარწმუნოებას არ ეხებოდენ, ეხლა რაღა დავაშავეთ, რომ გვართმევენ არქიელებსა, მღვდლებსა და ეკკლესიებსა და სხ. შემდეგ სთხოვენ ხსენებულთ თავადთ, რათა იშუამდგომლონ, რომ საუკუნოთაგან დანერგილი წეს-წყობილება, სარწმუნოება შეუცველელად დარჩეს და თეოფილაქტესაგან წარდგენილი ჰაზრი უკუ იქცეს.

ᲨᲔᲛᲓᲔᲒ იმერეთში მოხდარა აღელვება და ამ აღელვების მოთავედ ჩაუთელიათ ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲢᲠᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘ ᲦᲝᲡᲘᲗᲔᲝᲖ და ᲖᲔᲜᲐᲗᲘᲡᲘ ᲔᲥᲕᲗᲘᲛᲘ. ᲝᲠᲗᲐᲕᲔᲜᲘ დათხოვნილ იქმნენ; დადგინდა: იმერეთი შექმნეს ერთ ეპარქიად (იხ. **акт.** ტ. VI, ნაწ. 1, გვ. 419).

ᲗᲔᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲔ შეუდგა ქადაგების და ქრისტიანობის გავრცელების საქმესაც. შდებში და ᲝᲡᲔᲑᲨᲘ დაიწყეს ეკკლესიების შენება და ხალხის მოქცევა. ᲝᲡᲔᲗᲨᲘ ქრისტიანობის გასავრცელებლად დიდი ხნიდგან იყო დაწესებული განსაკუთრებული კომისია, რომელიც ნაყოფიერად მოქმედებდა მთის ხალხებში: ᲝᲡᲔᲑᲨᲘ, ᲫᲘᲡᲢᲔᲑᲨᲘ, ᲘᲜᲓᲣᲨᲔᲑᲨᲘ და სხვა.

ᲩᲛᲘᲡᲗᲜᲐ გაცხარებული საქმეების დროს ბოდბეში გარდაიცვალა მიტროპოლიტი თეოფილაქტე (19 იელისს 1821 წელს) და დასაფლავებულ იქმნა წმ. ნინოს ტაძარში.

ᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲐᲓ დაინიშნა არქიეპისკოპოსი იონა. სხვათა შორის, დაიწყო ᲘᲜᲒᲘᲚᲝᲒᲘᲡ მოქცევა. ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲓᲐ 6 ᲘᲜᲒᲘᲚᲝᲛ ᲝᲜᲘᲚᲘᲡᲨᲘ და ს. ᲫᲐᲛᲘᲐᲪ გაგზავნა მღვდელნი, რომელთაც ამ სოფელში მონათლეს რამდენიმე (17) ინგილო. ᲐᲛ საქმის წარმართვებას ხელი შეუშალა ადგილობრივ სულთნის შვილმა ᲐᲚᲮᲐᲖᲗᲐ, რომელიც ᲘᲜᲒᲘᲚᲝᲒᲡᲘ ᲐᲠ ᲣᲠᲩᲔᲕᲓᲐ ᲫᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲘᲡ მიღებას და ჰქადაგებდა სასჯელსაც (იხ. **акт.** ტ. VII, გვ. 249).

ᲩᲛ მდგომარეობაში იყო საქართველოს სამწყსო მაშინ, როდესაც რუსეთში გარდაიცვალა კათოლიკოზი სრულიად საქართველოის ᲐᲜᲢᲝᲜᲘ. ᲘᲡ იყო 2 ᲫᲠᲘᲡᲢᲔᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ, 1827 წ., დილის 10 საათზე.

3 ნოემბერს, 1810 წ. გამგზავრებული ᲐᲜᲢᲝᲜᲘ რუსეთს (პეტერბურღს) მივიდა 1811 წ. დასაწყისს. ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ I მეგობრულად მიიღო იგი. ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲐ წევრად უწ. სინოდისა, მიუბოძა მას მწვანე ხავერდის მანტია და ორდენი წმ. ᲐᲜᲓᲠᲘᲐ პირველ-წოდებულისა და ორდენისათვის მისაკუთრებულ ჯილდოს გარდა დაუნიშნა ჯამაგირად ყოველწლივ 54.000 მ.

ᲣᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲦᲘᲡ დიდხანს არ დარჩა ᲐᲜᲢᲝᲜᲘ. ᲘᲛᲐᲜ საცხოვრებლად აღირჩია ნიჟეგოროდის გუბერნია, საცა მაშინ სცხოვრებდენ ქართველ მეფეთ ჩამამავალნი: ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲑᲠᲣᲨᲘᲜᲡᲙᲘ, ᲚᲔᲝᲜ ᲑᲠᲣᲨᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲫᲔᲠᲘᲐ, ᲐᲒᲠᲐᲤᲔᲜᲐ ᲢᲐᲢᲘᲨᲩᲔᲕᲘᲡ ასული და აგრეთვე ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲡ ᲫᲔ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ. ᲘᲡᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲒᲠᲝᲑᲓᲔᲜ Ს. ᲚᲘᲡᲙᲝᲒᲨᲘ. ᲐᲜᲢᲝᲜᲘ კი დადგა ᲜᲘᲟᲔᲒᲝᲠᲝᲓᲘᲡ მიძინების ეკკლესიაში. მისი საქმეების გამგებელი იყო მისი ნათესავი ᲛᲘᲡᲢᲐᲢᲔ ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ᲐᲜᲢᲝᲜᲘ რამდენიმე ხანს წავიდა საცხოვრებლად Ზ. Ა. ᲑᲠᲣᲨᲘᲜᲡᲙᲘᲡᲗᲐᲜ.

1824 წ. კი კათოლიკოსი დაბრუნდა ᲜᲘᲟᲔᲒᲝᲠᲝᲓᲨᲘ და დადგა ᲠᲘᲣᲛᲘᲜᲘᲡ (ᲐᲜᲓᲐᲛᲙᲝᲕᲘᲡ) სახლებში. შემდეგ გადავიდა ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲔᲡ ქუჩაზე ᲑᲠᲐ-

ვინის (ანკოტელნიკოვის) სახლებში. მიძინების ეკლესია იყო სანიადაგო სამლოცველო ტაძარი მის მეუფებისათვის. ამ ეკლესიის ხარლამპის ეკვდერი მისაკუთრებულ იყო ქართველთათვის, სადაც ნიადაგ ქართულად სწირავდენ. ყოველთვის კათოლიკოსი ისმენდა წირვას. მის მეუფების სახსოვრად ამ ტაძარში აქამდი დაშთენილია წმ. სამების ხატი, რომელიც კათოლიკოზის თქმულობით ეკუთვნოდა ძველებურს დროს და იყო სასწაულ-მოქმედიცა. ამავე ეკლესიის მეტრიკულ წიგნში სწერია, რომ კათოლიკოსი ყოფილა მიმრქმელად შვილისა პოროშიკის ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა და ოლგა ლეონის ასულის ტურჩანიკოვისა—ასულის ბარბარესი.

ანტონის ძალიან იშვიათად უწირავს საკრებულო ეკლესიაში. წირვაზე დაიარებოდა ხოლმე ოქროს კარეტითა. ეს კარეტა ეკუთვნოდა იმპერატრიცა ელისაბედ პეტროვნას. კარეტას ჰქონდა ექვსი თვალი, იბმებოდა ექვსის ცხენით. როდესაც ანტონი გამოვიდოდა ამ კარეტით, მაშინ გუნდი ხალხისა დაედევნებოდა მას და სიამოვნებდა მისი ხილვით.

როდესაც 1825 წ. აღესრულა ალექსანდრე I, ხალხი ორ გზობას დაადგა ანტონმა—იმპერატორ კონსტანტინე I ერთგულებისათვის.—ეკლესიაში იხსენიებდენ ანტონს უნეტარესად, კათოლიკოსად ქართლისა და კახეთისა, ხოლო მიწერ-მოწერაში მეუფებად.

თავისუფალ დროს ანტონი სამშობლო ლიტერატურის შესწავლას ახმარებდა. მას ჰქონდა მრავალი წიგნები, დაშთენილნი შემდეგ ანტონი I-სა.

ანტონი ყოფილა ტანოვანი, მაღალი, დიდი და მშვენიერი პირის-სახისა, დიდის წვერით, შავის თვალებით. ანტონს თურმე რუსები ეკითხებოდენ: «ნუ თუ საქართველოში ყველა შენისთანა ლამაზები არიანო». ანტონიც უპასუხებდა: «იქ ჩემზე უფრო ლამაზები არიანო» (ზეპირ გადმოცემა). ამასთანავე კათოლიკოზი ყოფილა მეტად ზრდილობიანი, მეცნიერების მოყვარე.

ანტონი თურმე მეტად ნაღვლობდა სამშობლოს განშორებისათვის და შველიდა თვისთა მემამულეთა. ასე რომ 54,000 მ. არც კი ჰყოფნიდა საცხოვრებლად. იგი ღარიბად სცხოვრებდა და ღარიბადვე მოკვდა. ასე რომ დასამარხავი ფული არ დარჩა და იგი დაიმარხა სახელმწიფო ხარჯით. დამარხვას მოხმარდა 6,000 მ. და მისთვის ძეგლის აგებას 2,500 მ. ანტონი, როგორცა ვსთქვით, აღესრულა 21 დეკემბერს 1824 წ., შობიდამ 66 წლისა.

დაასაფლავეს იგი დიდებულად, ისე, როგორც შეეფერებოდა მეფის ძესა. 25 დეკემბერს მისი გვამი გადიტანეს ხარების სობოროში და ყოველ დღე-ღამ მღვდელნი უკითხავდენ სახარებას, 31 დეკემბერს დაასაფლავეს იგი ეპისკოპოსებმა—ნიჟეგოროდისამ ათანასემ და პენზისამ ირინემ. ხარების ეკლესიიდამ გამოტანის წინად გამოსათხოვებელი სიტყვა წარმოსთქვა დეკანოზმა ამა სობოროისამ ლებედევმა. დასაფლავებაზე დაესწრნენ: გენერალ-გუბერნატორი ბახმეტევი, გუბერნატორი ხრაპოვიცკი, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. გრუზინსკი და სხ. ჯარებმა სამეფო პატივისცეს. დაასაფლავეს «სკორობიაშჩენსკის» სობოროში. აქაც წარმოსთქვეს სიტყვები—რეკტორმა სემინარიისამ არქიმ. გაბრიელმა და დეკანოზმა პრუდენცოვმა.

გვამი უნეტარესის კათოლიკოზისა დაშთა სკორობიაშჩენსკის ტაძარში 14 წელიწადი; 9 ენკენისთვეს 1841 წ. ამ ეკლესიის დანგრევის დროს კი იმავე გიორგი ალექსანდრეს ძე გრუზინსკისაგან გვამი ანტონისა გადატანილ იქმნა ფერის-ცვალობის საკრებულო ტაძარში და შენახულ იქმნა დიმიტრიევის ეკლესიის სავანეში, მარჯვენა მხრით. (ეს უკანასკნელი ცნობანი კათოლიკოზზე ჩვენ ამოვიღეთ «Странникъ»-ის აგვისტოს №-დამ 1865 წ.)

მოსე ჯანაშვილი.

საეკკლესიო მოსამსახურეთა საყურადღებოდ.

ინსტრუქცია მედავითნეთა მოვალეობაზე.

ხშირად გესმის კაცს სამღვდელო პირთაგან საჩივარი, რომ მედავითნეები რიგიანად არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობასო. მაგრამ უფრო მეტი საჩივარი გესმის კაცს მედავითნეებთაგან თავიანთ მღვდლებზე, ვითომც ისინი თხოულობდნენ მათგან იმის აღსრულებას, რაც სრულიად არ შეადგენს მედავითნეთა მოვალეობას. ამისთანა საჩივრებს მთელს რუსეთის იმპერიაში, მრავალ ადგილას ეპარქიის მღვდელ-მთავარნი ყურადღებას აქცევენ და, მართლაც, ამ ეპარქიებში ღვთის მსახურება კრებულთაგან სრულდება წესიერად, მწყნარად და მშვიდობიანად. მაგრამ ზოგიერთ ეპარქიებში ყურადღებას არ აქცევენ ამ საქმეს, რომლისა გამო მღვდელსაც და მედავითნესაც დიდი დაბრკოლება ეძლევათ და ამასთან ბრკოლდება მათი მაყურებელი მრევლიც.

ჩვენში მაინც სრულებით არ არის განსაზღვრული მედავითნეთა მოვალეობა. ამისთვის ხშირად მედავითნე ეურჩება მღვდელს იმისთანა საქმის აღსრულებაზე, რომელიც ბირ-ბირ მედავითნის მოვალეობას შეადგენს. ხშირად მღვდელიც იმისთანა რამეს ითხოვს მედავითნისაგან, რომელიც მის მოვალეობას სრულებით არ შეადგენს. ამისათვის მიუტანელად საჭიროებას შეადგენს, რომ მედავთნეების მოვალეობის აღსრულებაზე დარიგებანი (инструкція) ჯეუფოვნებლივ იქმნეს შედგენილი და დარიგებული მღვდელთა ჯ მედავითნეთა სახელმძღვანელოდ.

ამისთანა მედავითნეთა ინსტრუქციები მოსპობენ ჩვენ სასულიერო წოდებაში მრავალს უმეოფოვილებას და უთანხმობას ეკლესიის კრებულის წევრთა შორის.

ჩვენ მოგვეკა რუსეთის ერთი ეპარქიის მღვდელ მთავრისაგან შედგენილი ჯ დამტკიცებული ინსტრუქცია მედავითნეთა მოვალეობის აღსრულებაზე. ამ ინსტრუქციით მედავითნეთა მოვალეობა გაუოფილია სამ ნაწილად. პირველ ნაწილში აწერილნი არიან დარიგებანი მედავითნეთა ეკლესიის შესახებ; მეორეში დარიგებანი ეკლესიის წინამძღვრის შესახებ და მესამეში—ნაჩვენებია, თუ როგორ უნდა დაიკავოს თავის თავი მედავითნემ მრევლთან.

ა) დარიგებანი ეკლესიის შესახებ.

გარდა კლიროსზე (საწიგნეზე) კითხვისა და გალობისა მედავითნეთ ვალად ედგინებათ, რომ ეკლესიაზე მოვიდ ნენ მღვდლის მოსვლამდე და საჭიროების დროს მიიღონ მათ მღვლისაგან ეკლესიის გასაღები, გააღონ და დაკეტონ ეკლესიის კარები; თვალ-ყური ადევნონ, რომ თაგ-თავის დროზე რეკდნენ. სამოლიის გამოტანა, მომზადება ღვთის მსახურებისთვის საჭირო ნივთებისა—სებისკვრის, ღვინის, მდუღარების, საცეცხლურში ცეცხლის ჩაყრა, სამსახური ტრაპეზში მღვდლის შემოსვის დროს, ხელის დასაბანად საჭირო წყლის მოტანა; მომზადება და მირთმევა საცეცხლურისა მღვდლის და მოვარისთვის ღვთის მსახურების დროს, სანთლების ანთება და დაქრობა საკურთხეველში, თვალ-ყურის გდება ტრაპეზის სიწმინდის და სისუფთავისა, გამგებლობა სალარიოისა (შესამოსლების შესანახავისა) და გამოლება და მირთმევა სხვა-და-სხვა ნივთთა სამღვდელო მსახურთადმი ღვთის მსახურების დროს, გარდა იმა ნივთთა, რომელთა ხელის ხლება აღკრძალული აქვს მედავითნეს; თვალ-ყურის გდება საეკლესიო ნივთებისა, ეკლესიაში მუშაობის და ეკლესიის დალაგების დროს. რადგანაც მცველი ეკლესიისა, რომელსაც ვალად აქვს დადებული წვრილმალი უბრალო მსახურების აღსრულება, ავათმყოფობამ ვერ მოვა ეკლესიაზე, მაშინ მედავითნემ უნდა აღასრულოს უბრალო წვრილმალი მოვალეობებიც, ახსოვდეს რა მედავითნეს, რომ არც ერთი სამსახური ეკლესიისა, რაც უნდა მდაბალი იქნეს, არ დაამცირებს კაცს.

ღვთის მსახურების დროს მედავითნე უნდა კითხულობდეს და გალობდეს აუჩქარებლად, გგებითი და, როდესაც რამეს გაუსწორებს მღვდელი, უნდა აღასრულებდეს ყოველის უარის უოქმელად. საღმრთო მოქმედების აღსრულების დროს მედავითნე უნდა იდგეს წესიერად და სწორად, არ უნდა ჩამოაწვეს საწიგნეს, არ ილაპარაკოს, არ გაიცინოს და არც იაროს; არ მოვიდეს დალეული ეკლესიაში. მრევლთა სამაგალითოდ ნამდვილად ასრულებდეს ეკლესიურ კანონების მოთხოვნილებას შესახებ თავის მოხრისა, მეტანიისა, პირზეჯვრის გამოსახვისა და სხვ...

მედავითნე უნდა იყოს ეკლესიაზე, როდესაც რამეა შესაკეთებელი და სამუშაო მასში, ანუ როდესაც ეკლესიას წმენდენ, სინოტიავეს აშრობენ, ჰოლს რეცხენ და შანდნებს ასუფთავებენ; ხატები, რომ უცოდინარებმა არ გააფუჭონ, თავის ხელით უნდა გაწმინდოს მედავითნემ ან დიაკონმა. მედავითნე თვალ-ყურს უნდა ადევნებდეს, რომ ვინმე უბრალო გარეშე პირმა საღმრთო ნივთები ერთი ადგილიდამ მეორეზე არ გადიტანოს და ტრაპეზს არ შეეხოს. მედავითნე არ უნდა წვიდეს ეკლესიიდამ მღვდელზე ადრე. ეკლესიიდამ გაძოსვლის დროს უნდა დაათვალიერეს კარგა და შეიტყოს: კარები დაკეტილია თუ არა, სანთლები დაქრობილია თუ არა, ცეცხლი ხომ არ დარჩენილა საცეცხლურში; განსაკუთრებით ამ საგნებს ყურადღება უნდა მიაქციოს მწყურის და ღამის თვის ლოცვების შემდეგ. როდესაც მღვდელი სამრევლოში არ იმყოფება, მედავითნე არ უნდა მოშორდეს სამრევლოს, უნდა თვალ-ყური ეჭიროს ეკლესიაზე და ეკლესიის ღამის ყარაულებზე.

(გაგრძელება შემდეგში.)

შინაარსი: ოფიც. ნაწილი: წესდება კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის ადმიდგენელი საზოგადოებისა.—მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლის წესდება.—არა ოფიც. ნაწილი: ჩვენი ეკლესიების შინაგანი ჯ გარეგანი მორთულობანი.—მწარე თვიქრები.—სპარსეთიდამ.—ეუბანეთშეიდის ბასუხი.—შორობანი მწყემსთა და სამწყსოთა შორის.—დგქსი.—მეტანიე.—სიისტორია მასსდა.—პრიჩეტნიკების ინსტრუქცია.

Дозв. цензурою Кутаисъ, Іюля 31, 1885 г. რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. დამიანიძე.
Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ. მსწრაფლმბეჭდავი ზედგინიძისა ჯ ფერაძ ა ის